სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი

I. მიზანი

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის (შემდგომში კონსერვატორია) ეფექტიან საქმიანობას ხარისხიანი საგანმანათლებლო, სტუდენტთა მომსახურების, ადამიანური და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით.

II. მოქმედების სფერო

1. კონსერვატორიის სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესი განმარტავს სტუდენტთა დაგეგმარების მეთოდოლოგიას, დაგეგმარების პროცედურასა და პასუხისმგებელ სტრუქტურებს;

2. წესი ვრცელდება კონსერვატორიის სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმარებასთან დაკავშირებულ პროცესებზე; ასევე, კონსერვატორიის ადამიანური (აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი) და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაგეგმარების პროცესებზე;

III. ზოგადი მეთოდოლოგია

1. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრა ხორციელდება ინდივიდუალურად თითეულ საგანმანათლებლო პროგრამის და/ან კონცენტრაციის მიხედვით, ხოლო თითეული პროგრამის მონაცემის დაჯამებით განისაზღვრება კონსერვატორიის კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა.

2. სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია ითვალისწინებს:

ა) პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველთა სტატისტიკურ მაჩვენებელს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

ბ) პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სტატისტიკურ მაჩვენებელს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

გ) პროგრამებზე მობილობით (შიდა, გარე) გადმოსულ სტუდენტთა სტატისტიკურ მონაცემს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

დ) პროგრამებიდან მობილობით (შიდა, გარე) გადასულ სტუდენტთა სტატისტიკურ მონაცემს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

ე) პროგრამებზე სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის სტატისტიკურ მონაცემს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

ვ) პროგრამების კურსდამთავრებულთა სტატისტიკურ მაჩვენებელს ბოლო 4 წლის განმავლობაში;

ზ) მუსიკალური თერთმეტწლედების და სპეციალიზებული სამუსიკოსო სკოლების, აგრეთვე კონსერვატორიის სემინარიის გამოშვებათა სტატისტიკურ მონაცემებს;

თ) პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ რესურსს (სასწავლო და დამხმარე ფართი, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ.);

ი) პროგრამის ადამიანურ რესურსს (ადმინისტრაციულ, აკადემიურ, მოწვეულ, დამხმარე პერსონალს და მათ თანაფარდობებს);

კ) საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას;

ლ) დეფიციტური საკრავების შევსების პოლიტიკას;

მ) ფინანსურ მდგრადობას.

IV. მატერიალური რესურსის გამოთვლის მეთოდოლოგია

1. კონტიგენტის განსაზღვრის პროცესში ერთ სტუდენტზე გათვალისწინებულ უნდა იქნეს კონსერვატორიის სასწავლო და დამხმარე ფართის 5 კვ.მ.

2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსის კუთხით კონტიგენტის განსაზღვრა ხორციელდება კვირის განმავლობაში აუდიტორიების/დარბაზების/სტუდიების, ხოლო ზოგიერთი პროგრამის შემთხვევაში, ინსტრუმენტების გამტარობის გათვალისწინებით (მაგ. კლავიშიანი საკრავები).

3. აუდიტორიების/დარბაზების/სტუდიების და ინსტრუმენტების გამტარობის კვირეული მონაცემის გამოსათვლელად გათვალისწინებულ უნდა იქნას:

- აუდიტორიების/დარბაზების/სტუდიების/ინსტრუმენტების რაოდენობა;
- აუდიტორიის/დარბაზის/სტუდიის/ ინსტრუმენტის დღიური საათობრივი დატვირთვა (10:00-22:00);

- აუდიტორიის/დარბაზის/სტუდიის/ინსტრუმენტის კვირეული დატვირთვა (ორშაბათი-შაბათი);
- აუდიტორიებში/დარბაზებში/სტუდიაში/ინსტრუმენტებზე ჯგუფების და/ან ინდივიდუალური სტუდენტის რაოდენობა;
- ჯგუფების რაოდენობა/ინდივიდუალურ სტუდენტთა რაოდენობა;
- ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;
- ჯგუფის/ინდივიდუალური სტუდენტის კვირეული პრაქტიკული/სარეპეტიციო/ სასემინარო/სალექციო დატვირთვა (კვირეული საკონტაქტო საათი).

4. აუდიტორიების/დარბაზების/სტუდიების/ინსტრუმენტების გამტარობა საათებში ერთი კვირის განმავლობაში გამოითვლება ოთახების რაოდენობის გამრავლებით დღიურ საათობრივ და კვირეულ დარტვირთვაზე (კვირის სასწავლო დღეების რაოდენობაზე). მაგალითად: 10 აუდიტორია ხ 12 საათზე ხ 6 დღეზე = 720 საათი; 5 ინსტრუმენტი ხ 12 საათზე ხ 6 დღეზე = 360 საათი;

5. მიღებული მონაცემი იყოფა ჯგუფის/ინდივიდუალური სტუდენტის კვირეულ დატვირთვაზე (კვირეულ საკონტაქტო საათებზე, საშუალოდ 12/16 საათი) და გვაძლევს გამტარობას ჯგუფების/ინდივიდუალური სტუდენტის რაოდენობის მიხედვით. მაგალითად: 720 საათი / 12 საათი = 60 ჯგუფი (ანუ, 10 აუდიტორია კვირის განმავლობაში ახერხებს 60 ჯგუფის გატარებას); 360 საათი / 16 საათი = 22 ინდივიდუალური სტუდენტი (ანუ, 5 ინსტრუმენტი კვირის განმავლობაში ახერხებს 22 სტუდენტის გატარებას)

6. იმ პროგრამებზე, სადაც სწავლების ფორმატი იძლევა გუნდური სწავლების მეთოდის განხორციელების საშუალებას, მიღებული ჯგუფების რაოდენობა მრავლდება ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობაზე, რაც იძლევა კონკრეტული პროგრამისათვის სტუდენტების ზღვრულ რაოდენობას;

V. ადამიანური რესურსის გამოთვლის მეთოდოლოგია

1. ადამიანური რესურსის კუთხით კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია ეფუძნება თითეული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას და მოიცავს შემდეგ თანაფარდობებს: ა) აკადემიური პერსონალის რაოდენობა Vშ სტუდენტის რაოდენობა; ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა Vშ სტუდენტის რაოდენობა;

2. საშემსრულებლო ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის (სამივე საფეხურის) მიმართულებებში:

ა) აკადემიური პერსონალისა (მათ შორის ემერიტუსი, მოწვეული, კონცერტმაისტერი, მასწავლებელი) და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოადგენს:

- კლავიშიანი საკრავები - 1/1 კოეფიციენტი;
- საორკესტრო სიმებიანი საკრავები - 1/1 კოეფიციენტი;
- საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები - 1/1 კოეფიციენტი;
- სოლო აკადემიური სიმღერა - 1/1 კოეფიციენტი;
- აკადემიური გუნდის დირიჟორობა - 1/1 კოეფიციენტი;

ბ) ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა წარმოადგენს 1/20 კოეფიციენტს.

3. ჯაზის ხელოვნების საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალისა (მათ შორის ემერიტუსი, მოწვეული, კონცერტმაისტერი) და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოადგენს 1/2 კოეფიციენტისა; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა წარმოადგენს 1/20 კოეფიციენტს.

4. კომპოზიციის საგანმანათლებლო პროგრამის (სამივე საფეხურის) აკადემიური პერსონალისა (მათ შორის ემერიტუსი, მოწვეული, სტუდიის მენეჯერი) და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოადგენს 2/1 კოეფიციენტს; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა წარმოადგენს არანაკლებ 1/20 კოეფიციენტისა.

5. მუსიკის თეორიის/მუსიკოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის (სამივე საფეხურის) აკადემიური პერსონალისა (მათ შორის ემერიტუსი, მოწვეული და სხვ.) და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოადგენს 1/1 კოეფიციენტს; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა წარმოადგენს 1/20 კოეფიციენტს.

6. მუსიკა და დღევანდელობის / მუსიკის ტექნოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებებში აკადემიური პერსონალისა (მათ შორის ემერიტუსი, მოწვეული) და სტუდენტთა თანაფარდობა წარმოადგენს 1/2 კოეფიციენტს; ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის რაოდენობისა და სტუდენტთა რაოდენობის თანაფარდობა წარმოადგენს 1/20 კოეფიციენტს.

7. სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ხელმძღვანელისა და სტუდენტის თანაფარდობა წარმოადგენს არაუმეტეს 3/1 კოეფიციენტისა;

VI. გარდამავალი დებულებები

1. აღნიშნული წესი ამოქმედდეს კონსერვატორიის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

2. წინამდებარე წესი აუქმებს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრასთან დაკავშირებულ სხვა, მანამდე მოქმედ წესს, რეგულაციასა თუ დადგენილებას;

3. წესში ცვლილებები აისახება წესის გამოყენების შედეგების ანალიზის, სწავლა-სწავლებისა და კვლევის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული საქმიანობით გამოწვეული საჭიროებების და/ან რელევანტურ ნორმატიულ დოკუმენტებში ცვლილებების შესაბამისად;

4. წესში ცვლილებების დამტკიცებას ახორციელებს კონსერვატორიის აკადემიური საბჭო შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო და/ან სხვა დამხმარე სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული წინადადებების საფუძველზე რექტორის წარდგინებით.

5. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას უზრუნველყოფს შესაბამისი მიმართულების/პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამაში ჩართული პერსონალის მონაწილეობით და წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს. ფაკულტეტის დეკანი სასწავლო დეპარტამენტთან, ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ჩართულობით ამუშავებს მიწოდებულ ინფორმაციას, და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სტუდენტთა კონტიგენტი დასამტკიცებლად წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

6. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია სტუდენტთა კონტიგენტთან დაკავშირებული დოკუმენტაცია მოტივირებული შენიშვნებით დააბრუნოს ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად.

7. ფაკულტეტის საბჭო მსჯელობს აკადემიური საბჭოს მოტივირებულ შენიშვნებზე და შენიშვნების გათვალისწინებით, უფლებამოსილია შეცვალოს საკუთარი გადაწყვეტილება ან დატოვოს იგი უცვლელად. გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო აკადემიურ საბჭოს წარუდგენს არგუმენტირებულ დასაბუთებას.

8. აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთების გაზიარების შემთხვევაში უცვლელად ტოვებს ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, ხოლო თუ იგი არ იზიარებს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებას, ცვლის ახალი გადაწყვეტილებით.